



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

des.gov.ge



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N26 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა - გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხე-ტყის კონტროლის გაძლიერება ხე-ტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებით, გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ასოცირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, დეპარტამენტის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა:

- საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების კონტროლი;
- პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი;
- მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელის, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.
- გააქტიურდა საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით. სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, მიმდინარეობს გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring) ჩართული მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების მუდმივი მონიტორინგი. ამ ეტაპზე ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია 34 საწარმო.



ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ 2023 წლიდან დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა ხილული გამონახოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების გამონახოლქვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი. გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების ფაქტების პრევენციის, შემაკავებელი გარემოს შექმნის მიზნით, გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება:

- გამკაცრდა სანქციები შავი ზღვის დაბინძურებაზე - 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, 65 ათასი ლარიდან 100 000 ლარამდე გაიზარდა ჯარიმა გემიდან, სხვა მცურავი საშუალებებიდან, პლატფორმიდან, მილსადენებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ზღვის დაბინძურებაზე;
- 2024 წლის 1 ოქტომბრიდან ელექტროშოკური მოწყობილობა „თევზჭერის ელექტროიარაღად“ დაკვალიფიცირდა და მის უკანონო ბრუნვაზე მკაცრი სანქციები დაწესდა.

ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგები

2024 წელს ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 8 282 ფაქტი. მათ შორის:

- 7 717 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოებში განსახილველად;
- 565 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტი, რომლებიც გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.


2024 წელს, მიმდინარე მონაცემებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ 7 710 737 ლარი შეადგინა. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ კი - 4 087 507 ლარი.

გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი


დეპარტამენტის მიერ გამოვლინ და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 8 282 ფაქტი:

2024 წელი

- ადმინისტრაციული – 7 717 ფაქტი;
- სისხლისსამართლის – 565 ფაქტი.



დიაგრამა: სამართალდარღვევათა გამოვლენა რეგიონების მიხედვით, 2024 წ.



დიაგრამა: სამართალდარღვევათა ტიპის რეგისტრაცია, 2024 წ.

2024 წელი

• გამოწერილია 5563 საჯარიმო ქვიტარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვაპირისთვის სამართავად გადაცემისთვის.

მომზადებულია ანალიტიკური სამსახურის მიერ

რეგულირების ობიექტების ინსპექტირება

2024 წელს განხორციელდა 3333 რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) ინსპექტირება განხორციელდა, მათ შორის, - 392 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება:

- 78 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ობიექტი;
- 4 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;
- 7 - სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია;
- 7 - სამონადირეო მეურნეობის, თევზჭერის სპეციალური ლიცენზია;
- 23 - გმო სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან ნიმუშების აღება/შემოწმება;
- 2 - „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზია;
- 271 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

2024 წელს 215 რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები - მათი საქმიანობის ინსპექტირების ან ანგარიშგების და სხვა პროცესში გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით.


პრევენციული ღონისძიებები

- მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების კონტროლი - 2024 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები არარეგისტრირებული სახერხი საამქროების ფუნქციონირების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით: მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი 798 საამქრო. 2024 წლის განმავლობაში გამოვლინდა 93 არარეგისტრირებული, უკანონო სახერხი საამქრო.
- შავი ზღვის დაბინძურების კონტროლი - შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად: განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 271 გემის ინსპექტირება გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით; გამოვლინდა გემებიდან ზღვის დაბინძურების 16 შემთხვევა.
- გენმოდირეცირებული ორგანიზმების კონტროლი - 2024 წელს ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა 25 შემოწმება, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღებისა და მათში ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით. ლაბორატორიული კვლევის შედეგად, მხოლოდ 1 ნიმუშში გამოვლინდა გმო მარკერები და საქმე, შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.



- საწვავის ხარისხის კონტროლი - 2024 წელს საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები 18 ობიექტიდან, მათ შორის 11 ნავთობსაცავიდან და 7 ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარიდან. კვლევის შედეგად, დადგენილი ნორმების დარღვევა გამოვლინდა 8 შემთხვევაში და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლი




2024 წლის დეკემბერი
 ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის სინჯების აღება -

- 50 სინჯი - დიზელის
- 15 სინჯი - ბენზინი

- ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი - 2023 წლის 4 სექტემბრიდან ქვეყნის 4 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებენ. 2024 წელს გამოვლინდა ავტოსატრანსპორტის გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 5 563 შემთხვევა. მათგან, თბილისში დაწერილია 2 827 საჯარიმო ქვითარი, ქუთაისში - 900, ბათუმში - 947, რუსთავში კი - 889 ფაქტი.

2024 წელი - გამოწერილია 5563 საჯარიმო ქვითარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის.



■ თბილისი 2827 ■ ქუთაისი 900 ■ ბათუმი - 947 ■ რუსთავი 889

ცხელი ხაზი

2024 წელს „ცხელ ხაზზე - 153“ მიღებულია 2671 შეტყობინება გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

კონტროლის ელექტრონული მექანიზმების განვითარება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში აქტიურად ვითარდება და ინერგება კონტროლის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული მექანიზმები. სამართალდარღვევათა ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და დროულად აღკვეთის მიზნით აქტიურად გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები - დრონები, ფოტოხაფანგები; გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები სრულად აღჭურვილია სამკერდე ვიდეოკამერებით, ვიდეორეგისტრატორებით, პლანშეტური კომპიუტერებით. გააჩნიათ მაღალი გამავლობის ავტომანქანები, ბაგები, მცურავი საშუალებები (კატერები და გასაბერი ნავები) შიდა წყალსატევებზე ბრაკონიერობასთან საბრძოლველად; კატარღები შავი ზღვის აკვატორიაში ინსპექტირებისთვის;

დეპარტამენტში მოქმედებს მერქნული რესურსების მართვის, სახერხი საამქროების მართვის, შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის ელექტრონული სისტემები, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელთა მეშვეობით მეწარმეები ონლაინ-რეჟიმში ახორციელებენ თავისი პროცესების მართვას, ხოლო ინსპექტორები - მათი საქმიანობის ზედამხედველობას.

შემუშავდა და 2023 წლის 4 სექტემბრიდან ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის ელექტრონული სისტემა და საჯარიმო ქვითრების გადახდების კონტროლის ელექტრონული სისტემა.

2024 წლიდან შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე მაცივარაგენტების იმპორტის, ექსპორტის, რეალიზაციის და მოხმარების ელექტრონული აღრიცხვა-სისტემატიზაციის, ანგარიშგებისა და კონტროლის ერთიანი სისტემა, კერძოდ, დაინერგა მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა - სადაც ქაღალდის ჟურნალების ნაცვლად ინფორმაციების ასახვის ვალდებულება აქვთ როგორც 3 კგ და მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მფლობელებს, ისე ამ მოწყობილობების მომსახურე ორგანიზაციებსა და ინდემწარმეებს; ექსპორტ/იმპორტიორებს, რეალიზატორებსა და რეციკლირების ორგანიზაციებს.

ქვეყანაში ხე-ტყისა და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოძრაობის, მიკვლევადობისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სამინისტროში მოქმედი მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემისა და შემოსავლების სამსახურის ზედნადებების ელექტრონული სისტემის ინტეგრირება - აღნიშნული ღონისძიების შედეგად სრულად გამოირიცხა ხე-ტყის სასაქონლო ზედნადებში ხე-ტყის მონაცემების გაყალბების, ხე-ტყის მრავალჯერადი გასხვისების რისკი; გაუმჯობესდა ხე-ტყისა და პროდუქტის პირველადი გადამუშავების პროდუქტის მიკვლევადობა.